

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნეს ინფორმატიკა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინტერდისციპლინარული ინფორმაციის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს: მათ შორის 20 კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებია, ხოლო 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას ეთმობა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • მისცეს მაგისტრს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბიზნეს პროცესების მართვის უზრუნველსაყოფად, კომპიუტერული ტექნოლოგიების სათანადო კომპეტენციების გამომუშავების საფუძველზე. • გამოუმუშაოს ამოცანის დარგობრივი გადაწყვეტის შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით და ეკონომიკაში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, რეალიზების უნარი.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება: ეკონომიკური, ბიზნესის, მასობრივი მომსახურების, ქსელური და ალბათური პროცესების, გადაწყვეტილებათა მიღების, კონფლიქტური სიტუაციის შესაბამისი მათემატიკური მოდელების აგების მეთოდების ცოდნა; თანამედროვე მონაცემთა ბაზების, დაპროგრამების ენების, კლიენტ-სერვერის არქიტექტურის, WEB-დაპროგრამებისა და დიზაინის, პოპულარული შემცველობის მართვის სისტემების თეორიული საფუძვლების ცოდნა და მათი მართვის სისტემების გამოყენების უნარი; შეეძლება: სახელმწიფო ფინანსების მართვა-რეგულირების სისტემის, საბანკო აღრიცხვის მეთოდების და საერთაშორისო სტანდარტებით კომერციული ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენება.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	სრული პროფესორი დავით დევაძე მობ: 599 514249 ასოცირებული პროფესორი ასიკო ცინცაძე მობ: 593 344155